ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №04
2021 წლის 16 აპრილი

ქ. ამბროლაური

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 თებერვლის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 თებერვლის N28 (www.matsne.gov.ge; 05/03/2018; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.117.016397) დადგენილებაში და დადგენილებით დამტკიცებული:

ა) დანართი N1-ის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. პრიორიტეტის პროგრამისა და ქვეპროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილება ხორციელდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.“;

ბ) დანართი N1-ის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) მოამზადოს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტი და ბრძანების საფუძველზე, განახორციელოს პრიორიტეტის პროგრამისა და ქვეპროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის ასიგნებების გადანაწილება.“;

გ) დანართი N3-ის პირველი მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) პირველად სტრუქტურულ ერთეულს – სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — ასლან საგანელიძე